

ნიკო მარის ფოტოკოლექცია

(არქივი დაამუშავეს და აღწერეს გიორგი კალანდიამ, ქეთი ასათიანმა და ირინა მოისწრაფიშვილმა)

ნიკოლოზ (ნიკო) იაკობის ძე მარი (დ. ძვ. სტ. 25 დეკემბერი, 1864/6 იანვარი, 1865, ქუთაისი, საქართველო — გ. 20 დეკემბერი, 1934, ლენინგრადი ახლანდელი სანქტ-პეტერბურგი, რუსეთი), ენათმეცნიერი, ფილოლოგი, აღმოსავლეთმცოდნე, არქეოლოგი, კულტურის ისტორიკოსი. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი (1912). მამა შოტლანდიელი ჰყავდა, დედა — ქართველი. 1884 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, 1890 — პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტი. 1891-იდან ამავე უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი იყო. 1894-1896 წლებში მუშაობდა სტრასბურგის უნივერსიტეტის, ვატიკანისა და რომის ბიბლიოთეკებში. ქართულ ხელნაწერთა შესასწავლად 1898 გაემგზავრა ნ. კონდაკოვის ექსპედიციაში ათონის მთაზე, 1902 — სინის მთაზე ი. ჯავახიშვილთან ერთად. 1913 წლიდან იყო პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის დეკანი, 1924-1930 წლებში ლენინგრადის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორი, 1930-იდან — სსრკ-ის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი. მარი იკვლევდა სომხურ ენას, ქართულს და მის ნათესაობას სხვა ენებთან. წამოაყენა ჰიპოთეზა (1888-1916), რომ ქართული ენათესახება სემიტურ ენებს და ქართველურ ენებს იაფეტური ენები უწოდა (ბიბლიური ნოეს შვილის — იაფეტის სახელიდან). სემიტური და იაფეტური ენები ერთი (ნოეტური) ოჯახის ორ შტოდ გამოაცხადა. მთის კავკასიური ენათა შესწავლის შედეგად მარმა იაფეტური ენების წრეში შეიტანა აფხაზურ-ადიღური, ჩაჩნური და დაღესტნური ენებიც (1916-1920) და იაფეტური დამოუკიდებელ ენათა ოჯახად მიიჩნია. შემდგომში იაფეტურ ენათა ოჯახს მიაკუთვნა ბასკური, აგრეთვე წინა აზიისა და ხმელთაშუა ზღვის მკვდარი ენები: პელაზგური, ეტრუსკული (1920-1923). ნაშრომში "იაფეტური კავკასია და მესამე ეთნიკური ელემენტი ხმელთაშუა ზღვის კულტურის შექმნაში" (1920) მარმა იაფეტური ეთნიკური ელემენტი ქრონოლოგიურად უფრო ძველად ცნო, ვიდრე სემიტური და ინდოევროპული — იაფეტიდები ხმელთაშუა ზღვის აუზის უძველეს მოსახლეობას წარმოადგენდნენო; ამიტომ სემიტურთან ნათესაობის საკითხი მოიხსნა. აღიარებულ იქნა იაფეტურ ენათა შეჯვარება ჯერ სემიტურ, ხოლო უფრო გვიან ინდოევროპულ ენებთან.

მომდევნო პერიოდში მარი მივიდა იმ დასკვნემდე, თითქოს იაფეტიზმები დასტურდება მსოფლიოს ყველა ენაში. მან იაფეტური ენები გამოაცხადა მეტყველების უძველეს საფეხურად (სტადიად), ხოლო — ენათა ოჯახის ცნება უარყო. 1923 წლიდან (ნაშრომი "ხმელთაშუა ზღვის ინდოევროპული ენები") მარმა გაწყვიტა კავშირი ადრინდელ ენათმეცნიერებასთან, რომელიც ბურჟუაზიულ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ მეცნიერებად გამოაცხადა; უარყო მისი პრინციპები, როგორც მიუღებელი მარქსისტული

მეცნიერებისათვის და შექმნა "ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება", რომელსაც, როგორც მარქსისტულ თეორიას, ძალით ახვევდა თავს საბჭოთა ენათმეცნიერებას. ამ თეორიაში ენა მიჩნეულია ზედნაშენად და კლასობრივ მოვლენად, მარი თვლიდა, რომ ბგერითი ენა იმთავითვე კლასობრივი იყო, არაკლასობრივი ენა არასოდეს არსებულაო. მან უარყო ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი მონათესავე ენათა ოჯახების არსებობა და წამოაყენა სტადიალური განვითარების პრინციპი. ამ პრინციპის თანახმად ენები ერთმანეთისაგან განსხვავდება არა წარმოშობის, არამედ განვითარების სტადიების მიხედვით, ხოლო თვით სტადიების რაოდენობა მარის არ გაურკვევია. 1926 მარიმ შექმნა პირველი აფხაზური ანბანი ლათინურ დამწერლობის საფუძვლებზე. ამ ანბანმა 1928 წელს ცვლილება განიცადა ხოლო შემდეგ საერთოს გაუქმდა და შეიცვალა ქართული ანბანის საფუძველზე შექმნილი აფხაზური დამწერლობით. 1950 წელს საენათმეცნიერო დისკუსიამ ნათელყო, რომ ახალი საენათმეცნიერო მოძღვრება არ არის მარქსისტული თეორია და რომ ამ თეორიის ძირითადი დებულებები მეცნიერულად გაუმართლებელია. მწერლობა და კულტურა.

მარმა დიდი ამაგი დასდო ქართულ სასულიერო და საერო მწერლობისა და კულტურის საკითხების შესწავლის ფუნდამენტური მონოგრაფიული გამოკვლევებით. მან ძველი ხელნაწერების მიხედვით, სათანადო მეცნიერული კომენტარებით, ლექსიკითა და რუსული თარგმანითურთ გამოსცა „პეტრე იბერის ცხოვრება“ (1896), იპოლიტე რომაელის „თარგმანებია ქება-ქებათად“ (1901), ბასილი კესარიელის „ფიზიოლოგი“ (1904), ანტიოქე სტრატეგის „იერუსალიმის წარტყვევნის“ არაბული ტექსტის ქართული თარგმანი (1909), განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო გიორგი მერჩულეს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ (1911). იოანე პეტრიწისადმი მიძღვნილი გამოკვლევებით (ЗВО ტ. XIX, 1909) მარმა საფუძველი ჩაუყარა ქართულ საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის განვითარების ისტორიულ შესწავლას. მნიშვნელოვანი გამოკვლევები უძღვნა მარმა ქართული კლასიკური საერო მწერლობის ძეგლებს: პირველმა გამოსცა გამოკვლევითა და კომენტარებითურთ „აბდულმესიანი“ და „თამარიანი“ („ძველი ქართველი მეხოტბენი“, რუსულ ენაზე, 1902). გააშუქა „ამირანდარეჯანიანთან“, „ვისრამიანთან“, „შაჰნამესთან“, „რუსუდანიანთან“, დაკავშირებული ქართულ-სპარსული და ქართულ-არაბული ლიტერატურული ურთიერთობების საკითხები. მარმა საფუძველი ჩაუყარა რუსთაველოლოგიას, როგორც სამეცნიერო დისციპლინას, განსაკუთრებული ღვაწლი დასდო ვეფხისტყაოსნის ტექსტის საკითხების, რუსთაველის იდეოლოგიისა და მისი ეპოქის შესწავლას, გამოსცა პოემის პროლოგისა და ეპილოგის ტექსტები («შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ შესავალი და დასკვნითი სტროფები», რუსულ ენაზე, 1910) სათანადო გამოკვლევითა და რუსული თარგმანითურთ; მნიშვნელოვანია მისი ნაშრომი რუსთაველის ეპოქისა და კულტურული გარემოს შესახებ „ვეფხისტყაოსანი და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“ (1917). დიდია მარის დამსახურება საქართველოს ისტორიის მეცნიერულ შესწავლაშიც. ფეოდალური ხანის ცალკეულ გაურკვეველ

პრობლემათა გაშუქების გარდა (ტაო-კლარჯეთის ისტორიის საკითხები, ანისში აღმოჩენილი ეტიფანე ქართლის კათალიკოსის წარწერის ანალიზი და სხვა), მას ეკუთვნის "საქართველოს ისტორია" (პეტერბურგი, 1906) რუსულ ენაზე, რომელშიც გადმოცემულია ქართველი ხალხის ისტორია ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის დასასრულიდან; განხილულია ქართული კულტურის ისტორიული საკითხები (დამწერლობის, ქრისტიანობის წარმოშობა, ლიტერატურის ისტორია და სხვა); ყურადღება ექცევა ქართველი ხალხის ეთნოგენეზის პრობლემასაც. საქართველო-კავკასიის უძველესი ხანის ისტორია ერთ მთლიანობაშია გადაწყვეტილი (ქართველ-კავკასიურ ტომთა მცირე აზიიდან მიგრაციის, ქართველ-ურარტულ ტომთა ნათესაობის, ქართველ-ბასკური პარალალების საკითხები და სხვა). მარის მეცნიერულ მოღვაწეობაში გარკვეული ადგილი უჭირავს არქეოლოგიასაც. მის მიერ ჩატარებულ გათხრებს ანისში (1892-იდან) დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეების სომხურ ქალაქებისა და კულტურის ისტორიის შესწავლისათვის. 1893 დაიწყო ვორნაჰის სამაროვანის გათხრა, განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო გათხრები ვანის ტბის (თურქეთი) სამხრეთ სანაპიროზე 1916. აქ მარმა გამოიწერა ი. ორბელის მიერ აღმოჩენილი ურარტუს მეფის სარდურ II-ის (760-730) ცნობილი სოლისებრი წარწერა, რომლის ერთ-ერთ მუხლში მოხსენიებული იყო კულხას (კოლხას) ქვეყანა.

ფოტოკატალოგის აღწერა

- მარ-001** სინას მთის ხედი. ნ. მარის კატალოგის მიხედვით ხედი მონასტრის სახურავიდან, მონასტრის ბაღზე და გზაზე. ფოტოზე არსებული მინაწერის მიხედვით "Синай. Возвращение религиозной процессии арабов с места поклонения у стен монастыря". ფოტო. 1902წ. . 21X28
- მარ - 002** სინას მთა. მოსეს გუბეები. სკამზე ზის ნიკო მარი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-003** სინას მთა. ბედუინები. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-004** სინას მთის მონასტრის ბაღი. კაქტუსები მწიფე ნაყოფით. შესულია ნ. მარის კატალოგში. ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-005** ერთ-ერთი სინური ხელნაწერის ყდა და კინძვა. გამოუქვეყნებელი. ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28
- მარ-006** ერთ-ერთი სინური ხელნაწერის ყდა და კინძვა. გამოუქვეყნებელი. ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-007** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. პერგამენტი. ნუსხური. 1902წ. 21X28
- მარ-008** სინა. იოანე მინჩხის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი საგალობლის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-009** სინა. საეკლესიო კალანდრის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-010 სინა. ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ორი გვერდი. პალემფსისიტი ბერძნულ და კოპტურ ენაზე. გადაწერილია ნუსხურით. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-011 სინა. ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის გვერდი დაწერილია ნუსხა-ხუცურით. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-012 სინა. ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-013 ერთ-ერთი სინური ხელნაწერის გვერდები. ნიკო მარის კატალოგის მიხედვით №64 ხელნაწერი. "სცენებაი წმიდათა მამათა და მთავართაი და დრესასწაულებაი მხსნელისა ცვენისა შობისაი". 73 ფურცელი. ხელნაწერის ქვედა ფურცელზე არის აქლემებისა და ირმის ნახატი. ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-014 სინური ხელნაწერის ყდის ფოტო. ნიკო მარის კატალოგის მინაწერის მიხედვით ხელნაწერი №70. ტრიოდioni. (მარხვანი) არსენის თარგმანი. ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-015 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. გამოუქვეყნებელია. წარმოდგენილია ანდერძი, რომელშიც მოხსენიებულია გურიელი და მისი თანამეცხედრე დარეჯანი, ასევე ფარსადანი. 1902წ. 21X28

მარ-016 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. ნ. მარის კატალოგის მიხედვით №92 ხელნაწერი. ფოტოზე არსებული მინაწერის მიხედვით პალიმფსესტი. სინას მთის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგის ნაწყვეტი. ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28

მარ-017 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. გამოუქვეყნებელია. უკანა გვერდზე ი. მეგრელიძის შემდეგი მინაწერით; "ეს და ესეთი ფურცლები სინადან უნდა იყოს. თითები და ბლუზა ივ. ჯავახიშვილისა. ფოტო ნიკო მარისა". ი. მეგრელიძის ხელმოწერით. 15.12. 1952წ. 1902წ. 21X28

მარ-018 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. გამოუქვეყნებელია. უკანა გვერდზე მინაწერის მიხედვით ხელნაწერი №74. 194 ვერსო. 1902წ. 21X28

მარ-019 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. ნ. მარის კატალოგის მიხედვით №65 ხელნაწერი "მლისპირნი ღვთისმშობლისანი". 1902წ. 21X28

მარ-020 სინური ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდის ფოტო. ნ. მარის კატალოგის მიხედვით №67 ხელნაწერი. "საგალობელი" ფოტოს მინაწერის მიხედვით 10 საუკუნის ხელნაწერი. 1902წ. 21X28

მარ-021 ერთ-ერთი სინური ხელნაწერის გვერდი. გამოუქვეყნებელია. უკანა მინაწერის მიხედვით; "მხეცთათვის სახისა მეტყველ წიგნთაგან". 1902წ. 21X28

მარ-022 ერთ-ერთი სინური ხელნაწერის გვერდები. ნიკო მარის კატალოგის მიხედვით №41 ხელნაწერი. "შესხმანი წდისა ღთისმშობლისანი". 101-102 გვერდები. 1902წ. 21X28

მარ-023 სინური ხელნაწერის გვერდები. მინაწერის მიხედვით "Синайская рукопись №1. Песнопения с нотными знаками". ნევმირებული ჰიმნოგრაფიული კრებული. 30v – 31r. გამოუქვეყნებული ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-024 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი არაბული მინაწერით. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-025 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. ასომთავრული ანბანით. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-026 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. მოხატულია ასომთავრული და ნუსხურით. მიწერის მიხედვით 11 საუკუნე. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28

მარ-027 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-028 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი ფოტო. ნიკო მარის კატალოგის მიხედვით №70 ხელნაწერი. "ანდრია კრიტელის მარხვანი". არსენის თარგმანი. 1902წ. 21X28

მარ-029 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. "საბა განმწმენდელის ცხოვრება". მე-20 საუკუნე. ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-030 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. საბა განმწმენდელის ცხოვრება. მე-20 საუკუნე. 1902წ. 21X28

მარ-031 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. "თავი წმინდისა მარკოზ მახარებლისია". მოხსენებულია იოანე ცოდვილი. 1902წ. 21X28

მარ-032 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით ბიბლიის 1-ლი ფურცელი. ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28

მარ-033 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით ხელნაწერი 1074წ. 1902წ. 21X28

მარ-034 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით "ხარება". 1902წ. 21X28

მარ-035 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით "Песнопения". В конце 12-ого вишщитого листа. (22В рукописи) Запись на арабском языке. яз. без. точек" "ოდეა ბროსეს სიკვდილი. ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-036 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ყდის ფოტო. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით "Синай. Перепл." 902წ. 21X28

მარ-037 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით "Синай. Текст пунктуаций. рук. 10 века." ფოტო. 1902წ. 21X28

მარ-038 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის უკანა ყდა. გამოუქვეყნებულია ნიკო მარის კატალოში როგორც ხელნაწერი №68. ხელნაწერი საყურადღებოა იმით, რომ იგი შეიცავს ღვთიშობლის კვართისა და სარტყლის თავგადასავალს. 1902წ. 21X28

მარ-039 სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ყდა. მინაწერის მიხედვით მეოცე საუკუნის ყდა. ხელნაწერი 864წ. გამოუქვეყნებულია ნიკო მარის კატალოში როგორც ხელნაწერი №32-33. 1902წ. 21X28

- მარ-040** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის უკანა ყდა. გამოქვეყნებულია ნიკო მარის კატალოში როგორც ხელნაწერი №32-33. მინაწერის მიხედვით მეოცე საუკუნის ყდა. ხელნაწერი 864წ. ყდის შემკვეთი იოანე. 1902წ. 21X28
- მარ-041** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდები. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით 10 საუკუნის საეკლესიო კალენდარი. ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28
- მარ-042** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. გადაღებულია ხელნაწერის ანდერძი, რომელშიც მოხსენებულნი არიან ყვარყვარე ჯაყელი, შიო (ყოფილი შილა). 1902წ. 21X28
- მარ-043** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის დამცავი ქაღალდი, ფორცაზი, ბერძნული ტექსტით. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-044** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოქვეყნებულია ნ. მარის კატალოგში, როგორც №92 ხელნაწერი. დაწერილია კუთხოვანი ხუცურით, წარმოადგენს თვენის ტექსტს. 1902წ. 21X28
- მარ-045** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით ” Иерусалимский канон. 12 глава. Праздников. Синайская рукопись 20век.”. 1902წ. 21X28
- მარ-046** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ყდის დამცავი ფურცელი. ფორმატი ნუსხური ტექსტით. გამოქვეყნებულია ნ. მარის კატალოგში №92 ხელნაწერად. მინაწერის მიხედვით ”Синай. Фрагмент библиотечного каталога” . ფოტო. 1902წ. 1ფ. 21X28
- მარ-047** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. ერთი გვერდი დაწერილია ნუსხურით, მეორეზე მხედრული ხელით ანდერძი. მოხსენებულნი არიან მიქაელი, გრიგოლი. მინაწერის მიხედვით სინოდისკონი. გამოუქვეყნებელი ფოტო. 1902წ. 21X28
- მარ-048** სინას მთის ქართული ხელნაწერის ფერადი ორნამენტის ფოტო. ნიკო მარის კატალოგის მიხედვით №47 ხელნაწერი. მიწერის მიხედვით 10 საუკუნის ხელნაწერი. 1902წ. 1ფ. 21X28
- მარ-049** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. ყდაზე დაკრული პერგამენტი ბერძნული ტექსტი. ნიკო მარის კატალოგის მიხედვით №32-33 ხელნაწერი ”საკითხავები”. 1902წ. 21X28
- მარ-050** სინას მთის ერთ-ერთი ქართული ხელნაწერის ერთ-ერთი გვერდი. გამოუქვეყნებელი ფოტო. მინაწერის მიხედვით. 907წ.. 1902წ. 21X28

